წელიწადი 1-ლი. გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. პარასკევი სექტემბრის 29—(12) 1917

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 2 შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე 1 ტაეტი ერთ ... 1 მან.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარდან 3 ტაეტი განცხადება ერთ ... 1 ... 50 ... 1 ... 50 ... 1 ... 50 

იგი მოლაგ მზად არის რუსეთის დიდ რევოლიუციის სამსახურად.

გუშინ ქართველმა მხედარმა წინასწარ მომტაცა ის ზარი, რომ ჩვენ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას მოველით დამფუძნებელი კრებისგან (ტაში). ამას უნდა დაუმატო, რომ ამის შესახებ უკვე გვაქვს ბრძანება. ესაა მოთხოვნილება მოგვენიოს ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა, უფრო სწორად რომ ვსთქვათ არა მონიჭება, არამედ „საქართველოს უფლებათა აღდგენა“.

მას ეს უფლებანი ჰქონდა, მაგრამ იგი გასთელეს და მოსპეს. ეროვნულ საკითხის გადამჭრელ პროგრამას ჩვენ საფუძვლად უდებთ ერთი შორის შეთანხმებას“.

## უკანასკნელი ვალი.

დადგა ჟამი, ჟამი უკანასკნელი ვალის მოხდისა.

უნდა მოვიხადოთ.

მაგრამ არის ვალი მრავალ ფეროვანი. ხშირად ძალით გვახდევინებდენ, გვახდევინებდენ თანასჯარ, ულვთოთ და ჩვენს მოვალეობას ჩვენსავე წინააღმდეგ იყენებდენ, მაგრამ იყო ვალი, რომელსაც სიამოვნებით, აღტაცებით ვიხდიდით, რადგანაც ვიცოდით, რომ ჩვენი მოვალეობის მოხდა ჩვენსავე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

და გაჭირა ასეთი დრო. ვალს კი ვიხდიდით.

საუკეთესო გზირებს ვიმეტებდით, ვსწირავდით და რისთვის?!. ეს კითხვაა რჩებოდა.

„ძალა იყო ბედი ჩვენი, მაგრამ ყველაფერი გადატრიალდა და ბედი ჩვენიც უმჯობესდება

დღეიდან თვითეული ქართველი თავის ვალს, მოგალეობის შეგენებთ გადაიხდის. იგი შეგენებით უნდა წარსდგეს ქართველთა რაზმების კარების წინ და მომმეთ ხელი გაუწოდოს.

ეს იქნება პირველი და უკანასკნელი ვალი.

„რასაც გასცემ შენი, რაც არა დაკარგულია“ო, სთქვა გენოსმა და ეს ბრძნული თქმულება დღევანდელ ჩვენს მომენტზე არის ზედ გამოჭრილი.

დიახ თავისუფლებას მსხვერპლად უნდა შეეწიროთ.

მაგრამ გვდღობება ერთი დ. ბრკოლება. ძველმა რეჟიმმა, მონობამ და ბატონობამ უსამართლობამ და ცხოვრების უკუღმართობამ შექმნა დეზერტირობა და ქართველი დეზერტირები ღღეს გაფანტულნი არიან სოფლად და ქალაქად.

ამ გარემოებას უნდა მიეკაკუნ ჩვენი ყურადღება, ქართველი დეზერტირები დაუყონებლივ უნდა შეიკრიბოს ეროვნულ ჯარში, რომ ამით ჩვენი ჯარი გამრავლდეს და ერთ სრულ ძალას წარმოადგენდეს.

ეს ასეც იქნება. ისინი არ არიან დეზერტირები თავისუფლისა და ეკეი არ გვეპარება, რომ თავისუფალ ეროვნულ რაზმებში სიხარულით გამოეშურებიან, რომ თავისუფლების გამტაცებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ.

მხოლოდ მიყოუებულ-მივარდნილ სოფლებს უნდა ეეცნოს ეს, ეს უნდა მეტ-ყონ თვით დეზერტირებმა. უნდა განმარტოს მათ მნიშვნელობა და მოვალეობა ეროვნული პოლკებისა, რომ სიხარულით გაეშურონ იქითკენ.

აქ უმთავრეს როლს შეასრულებს ქართ. მხედართა კავშირი, რომლის ოცენბას შეადგენდა ჯარის ეროვნულად გარდაქმნა, მაგრამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს ჩვენში არსებულ ყველა პოლიტიკურმა პარტიამაც. ამ პარტიებს უფრო ენდობა ხალხის მასა და ოვით მასამ სიხარულით სისწრაფით უნდა გამოამგზავროს თავისი შვილები თუ ძმები.

ქართველი დეზერტირებიც ამას უცდიდენ, ისინიც ელოდენენ ეროვნული ჯარის შექმნას, მხოლოდ დროს ელოდებოდენ.

და დადგა დროც.

ახლა დაყოვნება დეზერტირობა იქნება, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ასე არ იქნება და თავის მოვალეობას ყველა შეგენებთ მოიხდის.

ბაშ შეგენებთ სოფლისაკენ. ქართველი ბაბუკები შემოვიკრიბოთ.

ეს არის თვითეული ქართველი მოქალაქის მოვალეობა.

უკანასკნელი ვალი.

**ჯ. ქაცი ნ. ასათიანი.**

## დემოკრატიული საგჭო

Ა. ᲓᲐ. Ნ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

**თავმჯდომარის არჩევა**

**პეტროგრადი.** ენკ. 23. სხდომა საღამოს 9 საათზე იხსნება. თავმჯდომარობს მინორი. იგი აცხადებს, რომ პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: მენშევიკებიდან ჩხეიძე, დანი და მანდელბერგი; სოც. რევოლიუციონერებისგან აქვსენტიეი. ჩერნოვი, გოცი და კამკოვი და კოოპერატივებიდან ჩაიკოვსკი. ყველა ფრაქციების თანხმობით **თავმჯდომარედ ჩხეიძეს არჩევენ.** მინორი სთხოვს ალაგი დაიკავოს. (ტაში). ბოლშევიკების წარმომადგენელნი აცხადებს, რომ მისი ფრაქცია ჩხეიძის თავმჯდომარეობას ეწინააღმდეგება, ვინაიდან იგი თავმჯდომარეობას დროს ხშირად სასწორს მენშევიკებისკენ ჰხრისო. (დარბაზში ხმაურობა, ისმის პროტესტები). მინორი მეორეჯერ სთხოვს ჩხეიძეს თავმჯდომარის ადგილის დაკავებას. ჩხეიძე ტრიბუნაზე ადის. ბოლშევიკების გარდა მთელი დარბაზი ოვაციას უმართავს. მორიგ საკითხად გამოცხადებულია დემოკრატიულ თათბირის დელეგაციის მოხსენება მთავრობის რეკონსტრუციის შესახებ. **წერეთელი** წინადადებას იძლევა ფარული სხდომა მოახდინონ. წინადადება 105 ხმით, 70 წინააღმდეგ, მიიღეს.

**ირ. წერეთელის მოხსენება**

**პეტროგრადი.** ენკ. 23. დემოკრატიულ საბჭოს ფარულ სხდომაზე ი. **წერეთელმა** წაიკითხა მოხსენება დემოკრატიულ თათბირის დელეგაციის და დროებით მთავრობის შორის მოლაპარაკების შესახებ. მან განმარტა, რომ ფარული სხდომა ისეთს საკითხებზე მსჯელობის გამო ხდება, რომელთა გამოქვეყნება, უმაღლეს სახელწიფოებრივ მოსაზრებებით შეუძლებელიაო. შემდეგ, გააცნო რა სხდომას მოლაპარაკების ვითარება, და ის პირობები, რომელთაც შეერთებულ თათბირზე დელეგაციის ცენზიან ელემენტების დროებით წარმომადგენლებთან ერთად მიიღებინა მონაწილეობა. წერეთელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მარიამოვისთვის 14-ის პროგრამის მრავალ პუნქტებს ცენზიან ელემენტების წარმომადგენლები უარყოფით არ შეხვდნენო. მათ გაიზიარეს აგრეთვე დემოკრატიულ დელეგაციის მოთხოვნა, რომ მოკავშირეთა კონფერენციის მოსაწვევად გადაწყვეტილ ნამიჯით იქნას გადადგმული. კონფერენციაზე დემოკრატიის წარმომადგენლების თანდასწრებით განხილულ იქნებენ ხელშეკრულებანი. უთანხმოება მხოლოდ წინასწარ პარლამენტის საკითხსა და მის წინაშე მთავრობა პასუხისმგებლობამ გამოიწვია. დემოკრატიულ დელეგაციას ამ უთანხმოების გადაწყვეტა ასე სურს. დემოკრატიული საბჭო ოფიციალურად მოწვეული იქნება მთავრობის მიერ, მას მთავრობაც მაწყობს. საბჭოს შეავსებენ ცენზიან ჯგუფთა 120 წარმომადგენლით. დემოკრატიულ საბჭოს უფლება აქვს სხვა და სხვა შეკითხვა მოახდინოს მთავრობასთან, რომელზედაც მთავრობა მოვალეა პასუხი გასცეს. იურიდიულად და ფორმალურად (?) მთავრობა პასუხს აგებს დემოკრატიულ საბჭოს წინაშე. ფაქტიურად იგი პასუხის ვალებელი არ არის. წინასწარ პარლამენტი. ნდობის დაუმსახურებლად დროებით მთავრობის შემადგენლობა ვერ იარსებებს. წერეთლის მოხსენების შემდეგ, დისკუსების დროს, ფრაქციებს იმის შესახებ ჰქონდათ თათბირი, თუ როგორ შეხვდნენ შემქმნელ მდგომარეობას.

**პეტროგრადი.** ენკ. 24. სხდომა განახლდა ღამის 2 საათზე. მიიღეს დანის რეზოლუცია, რომლითაც თვითეულ ჯგუფს, რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ უნდა აერჩია თითო ორატორი, რომელთა ლაპარაკის დროც უნდა განსაზღვრათ.

**ტროცკის სიტყვა.**

პირველად ბოლშევიკების სახელით ილაპარაკა ტროცკიმ. მან პროტესტი განაცხადა, წერეთელმა ფარულ კრებაზე მოხსენება რად წაიკითხო. ტროცკიმ აღნიშნა, რომ დემოკრატიულ თათბირის დელეგაციამ დაარღვია ის მოვალეობა, რომელიც ამ უკანასკნელმა დაიალა, ვინაიდან დემოკრატიული თათბირი წინააღმდეგი იყო კადეტებთან კოალიციისა და კერენსკის უპასუხისმგებლო მართვა-გამგეობისა. ტროცკის რეზოლუციით ბოლშევიკები წინააღმდეგნი არიან ბურჟუაზიასთან კოალიციისა.

**ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების მასწავლებელთა საყურადღებოდ.**

ღღეს, 29 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, წმინდა ნინოს სასწავლებელში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების მასწავლებელთა

## კ რ ე ბ ა

ფრიად საჭირო საგნების შესახებ მოსალაპარაკებლად. ვსთხოვთ ხსენებულ მასწავლებელთ კრებას უსათუოდ დაესწრნენ.

**საქ. ერ.-დემ. პარტიის ქუთაისის კომიტეტი.**

მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერთა სახელით მოლაპარაკე კარელინი ცენზიან ელემენტთან კოალიციას წინააღეფდა.

დელეგატების სახელით წერეთელი აღნიშნავს, რომ არც თუ მენშევიკებს აკმაყოფილებს შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ სხვა გზა არა აქვთ დელეგაციასთან შეთანხმებისა. ეს ერთად ერთი გზაა რევოლუციის და რუსეთის ხსნისა.

დანი აქვეყნებს რეზოლუციას, რომელშიც მთავარი ყურადღება მას აქვს მიქცეული, რომ მთავრობა დემოკრატიულ საბჭოს ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი.

მენშევიკ ინტერნაციონალის ტაბის სახელით მარტოვი არ ეთანხმება დელეგაციის მოქმედებას. მისი აზრით ბურჟუაზიას არ სურს დემოკრატიული თათბირი მთავრობის წყაროდ იქნოს, მას ხსენებულ წყაროდ სახელმწიფო სათათბირო მიაჩნია, რომლის დათხოვნაზედაც იგი, მიუხედავად დემოკრატიის დაეინებულ თხოვნისა, უარს აცხადებს. მარტოვი კოალიციის წინააღმდეგია და მოუწოდებს საბჭოს ისეთი მთავრობა მოაწყოს, რომ მას მტკიცე კავშირი ჰქონდეს დემოკრატიასთან.

მოსკოვის ქალაქის თავი **რუდნევი** სოციალისტ-რევოლუციონერთა უმრავლესობის სახელით ეწინააღმდეგება ტროცკის და მხარს უჭერს დელეგაციის ცენზიან ელემენტებთან შეთანხმებას, მაგრამ საჭიროდ სთვლის მიწის და ეროვნულ საკითხის შესახებ უფრო ფართე პროგრამის მიღებას. შემდეგ შეაქვთ რეზოლუციები: ზარუდნის მშრომელ სახალხო სოციალისტურ პარტიის სახელით და ბერკენგეიმს კოოპერატიულ ჯგუფის სახელით, ღამის სამ საათზე გამოვიდა ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. იგი მოუწოდებდა შეთანხმებისაკენ, ვინაიდან სამშობლოს ამ მწუხარების და საფრთხის დროს მხოლოდ შეთანხმება იხსნისო. ბრეშკო-ბრეშკოვსკაის სიტყვამ დიდი ოვაცია გამოიწვია. ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ, თავის ალაგას დაბრუნების დროს წერეთელს შუბლში აკოცა. ამან უფრო დიდი ოვაცია გამოიწვია. ოვაციები გაუმართეს როგორც ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას, ისე წერეთელს.

**ჩხეიძე** აცხადებს, რომ შემოტანილია 5 რეზოლიუცია და მოუწოდებს კენჭი უყარონ, თუ რომელი მათგანი უნდა იქნესს ნიღბული ძირითადად. კენჭის ყრის შესახებ ილაპარაკეს ტროცკიმ, მარტომვამ, დანმა, ჩერნოვმა, ზარუდნიმ, კამენევმა და ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ.

პირველად კენჭი უყარეს ტროცკის რეზოლუციას. ზომხრე აღმოჩნდა 58 მოწინააღმდეგე 111 და თავ-შეკავებული 33. მეორედ კენჭი ეყარა დანის რეზოლუციას. ბომბრენი აღმოჩნდა 109, მოწინააღმდეგე 84 და თავშეკავებული 22 მესამედ კენჭი ეყარა მარტოკის რეზოლუციას; ბომბრე 83, მოწინააღმდეგე 113 და თავშეკავებული 19. ბერკენგეიმი და ზარუდნი იზიარებენ დანის რეზოლუციას, სოციალისტ-რევოლუც. ზარუდნიის სახით—მენშევიკების რეზოლუციას, ფრაქციის მეორე ნაწილი ჩერნოვის სახით თაღს იკავებს. კამენევ და ტროცკის რამდენიმე შესწორება შეაქვთ. წერეთელი აკვედრის, რომ მათ სხდომის დაშლა სურთ. კამენევი დასტურებს, ბოლშევიკის კოალიციის დაშლა ჰსურთო. ექვს საათზე მიიღეს დანის რეზოლუცია და სხდომა დაიხურა.

## პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი

**ვოიტინსკის განცხადება.**

პრეზიდიუმის სახელით ვოიტინსკი აცხადებს: მე მსურს სხდომის დახურვის წინ რამდენიმე სიტყვა გითხრათ. თათბირი ჩვენ მეტად მძიმე პირობებში გავიწვიეთ: მძიმე პირობების წარმოშობა ჩვენივე უძლურობისა და იმ განხეთქილების ბრალია, რომელსაც ჩვენ თვითონ ხელს ვუწყობდით დემოკრატიულ თათბირის მოწვევამდეო. თათბირის წინა დღეებში ყველა ჰგრძნობდა იმ საფრთხეს, რაც კი რუსეთის რევოლუციას ელობება წინ. უნდა ვსთქვა, რომ აქედანაც გულნატკენი მიდდევართ—რადგან, თქმა არ უნდა, ჯერ კიდევ ღრმაა ის შინაგანი შეურიგებლობა რამაც ასე დაასუსტა რუსეთის დემოკრატია და რამაც ასე გასტეხა თათბირის მსვლელობა. მაგრამ განა გრძობს ვოიტინსკი, თათბირსაც აქვს თავისი დადებითი მხარეები. ამ თათბირზე პირველად შეიკრიბენ რუსეთის დემოკრატიის სხვა და სხვა ნაწილები საერთო ინტერესების განსახილველად, და თუ მაინცა და მაინც იმდენად ძლიერნი ვერ გამოდგნენ, რომ ისინი გადაწყვეტათ,—ზოგიერთი საერთო დებულებები მაინც მიიღეს, სახელდობრ ის, რო ახალი მთავრობა პასუხის მგებელი უნდა იყოს და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მისაღებად უნდა მოქმედობდეს. თუ მაინცა და მაინც ჩვენ საერთო გზა ვერ გამოვნახეთ, მე მგონი, რომ ყველა აქ მყოფი იმ აზრით წავა სახლში, რომ საერთო გზა დემოკრატიამ უნდა ჰპოვოს. და თუ ამ საერთო გზას ვერ ვიპოვეთ—რევოლუციას სამოოვთო დაღუპვა არ აქცევეთო. ვოიტინსკის სჯერა, რომ ადგილობრივ ყველა შრომას განაგრძობს რუსეთის დემოკრატიის საერთო გზის საპოვნელად.

**დანის სიტყვა.**

**დანი** აცხადებს, დემოკრატიულმა თათბირმა თავის სიტყვა უნდა სთქვას იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც დამოკიდებულია არამც თუ ჩვენი ბედი არამედ ბედი მთელის ქვეყნისა—სახელდობრ ომზე. ამ სიტყვის უთქმელად თათბირის დაშლა შეუწყნარებელიაო.

მენშევიკების სახელით დანი კითხულობს მთელ ქვეყნის დემოკრატიისადმი მიმართულ მოწოდებას.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დანის მიერ გამოქვეყნებული მოწოდება განსახილველად დემოკრატიულ საბჭოს უნდა გადაეცეს.

**ბოლშევიკების წარმომადგენელი სკრიპნიკი** აცხადებს, საკითხი იმდენად რთული და მნიშვნელოვანია, რომ მისი ესე ზერელედ გადაწყვეტა არ შეიძლება: ან უნდა მსჯელობა ვიქმნოთ მის შესახებ ან კიდევ სულ მოვხსნათ ეს საკითხია.

**დანი** აცხადებს, რომ მოწოდება მთელ დემოკრატიის რწმენას ჰხატავს. იგი ძალიწონეს ინტერნაციონალის ტაბმა **მარტოვმა**, სოციალისტ-რევოლუციონერებმა **გუცმა და აქვსენტიევმა**, ქალაქის ჯგუფთა წარმომადგენელებმა **დუშეჩენმა.**

**ბოლშევიკების სახელით დოზოვსკი** აღნიშნავს, რომ საქმე იმაში კი არ არის თუ ვინ აწერს მოწოდების ხელს, საქმე თვით მოწოდების შინაარსია.

**ბოლშევიკი ულანინი** მოითხოვს დასვენებას რამდენიმე წუთით, რომ საკითხი უკეთ გადაწყვეტონ.

**ვოიტინსკი** საკითხის დემოკრატიულ თათბირისადმი გადაცემას თხოვს.

**ტრიბუნას ნოგანი** იკავებს და დასვენებას მოითხოვს; რომ პრეზიდიუმის წინადადება ფრაქციებმა განიხილონ.

დასვენება ნახევარ საათით ცხადდება.

**რიაზანოვის სიტყვა**

სხდომის განახლებისთანავე ტრიბუნას ბოლშევიკების წარმომადგენელი **რიაზანოვი** იკავებს. ორატორი აცხადებს, ჩვენი ენკენისთვის 21-ის მუშობა პრეზიდიუმან ერთად იქითკენ ყო მიმართული, რომ მთავრობის ძალა—დემოკრატიის ხელში გადასულიყო. მაგრამ თათბირის ხელმძღვანელებმა საერთო კრებაზე რეზოლუცია დამატებით შემოიტანეს. დამატების მიხედვით კი, დემოკრატიულ თათბირს თავის გარდაწყვეტილება გამოაქვს უპასუხისმგებლო პირების-შემწეობით, ხოლო ამ უკანასკნელთა დახმარებით ბურჟუაზიის-სურვილებს უკავშირდებიო. ინიციატივის შესახებ, რომელიც წერეთლის სიტყვებმა გამოიწვია, ბოლშევიკები აცხადებენ, რომ **წერეთელი** ცდილობდა მიეჩქმალა თავის მტკიცების სიმარცოვე ბოლშევიკების მიმართ არასაბუთებელი ეჭვებით. თავმჯდომარე წერეთელი არ შეეხება ბოლშევიკებს. ბ—�ეტის ნაცვლად, პრეზიდიუმიდან თავიანთი წარმომადგენლები გაიწვიეს. ენანსკენ პარლამენტის შესახებ ბოლშევიკები აცხადებენ, რომ მის შემადგენლობა ვლეხობის, მუშათა და ჯარისაკცთა ინტერესების საწინააღმდეგოაო. ბოლშეკიკები ყველგ დაეინებით მოითხოვენ მთავრობა დეპუტატთა სობჭოების ხელში გადავიდესო.

მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენელი **უსტინოვი** აცხადებს, რომ მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერები მისთვის შეეიდნენ წინასწარ პარლამენტში, რათა პარლამენტი იგი რევოლუციურ სოციალისტების მშრომელ ხალხთა ინტერესებისა ფმ დემოკრატიულ ზავის სასარგებლოდ გამოაყენოსო.

**თავმჯდომარე** აცხადებს, რომ პრეზიდიუმმა განიხილი დანის მოწოდება და შემდეგ გადაწყვეტილებას დადგა: სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირი ადასტურებს მიელ რუსეთის დემოკრატიის მტკიცე ნებას: ბრძოლა საზავო დიდ ლოზუნგის განსახორციელებლად. ეს ლოზუნგია—ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ხალხის თვითგამორკვევის ნიადაგზე. დემოკრატიულ თათბირის ეს ნება უნდა გამოიხატოს მთელ ქვეყნის დემოკრატიისადმი მიმართულ მანიფესტში. მანიფესტის შედგენა ევალება ყველა ფრაქციების წარმომადგენელთა შეეხებულს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა, ეს დებულება ერთხმად მიღებულ იქმნესო. კენჭის ყრით ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხოლოდ ერთია.

**თავმჯდომარე** აცხადებს, რომ დემოკრატიულ საბჭოს ჰიროელი სხდომა ენკენისთვის 23-ს ნაშუადღეზის 3 საათზე მოხდება. „გაუმარჯოს რევოლუციას“!—ათავებს განცხადებას **მინორი** და დემოკრატიულ თათბირს დახურულად აცხადებს, (შეკუხარე ტაში, მოთათბირენი ფეხზე დგებიან. ისმის სიმღერა. მღერიან „ინტერნაციონალს“ და „მარსელიოზას“.

თათბირი საღამოს 7 საათზე დაიხურა.

## რევოლუციის ამბები.

Ა. ᲓᲐ. Ნ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

**დამფუძნებელი კრების შემადგენლობა.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 24 „დრ. მთავრობის უწყებებში“ გამოცხადებულია თუ რამდენი წარმომადგენელი ეყოლეს თითო ოლქს: ალტაის ოლქს—13, ამირსკის—1, არხანგელის 2, ასტრახნის 5 ბესარაბიის—13, ვიტებსკის—9, ვლადიმირს—9, ვოლოგდას—7, ვოლინის—10, ვორონეჟის—15, ვიატკის—15, დონის კაზაკთა ოლქი—17, ეკატერინოსლავის—18, ენისეის—6, ზაბაიკალის -7, ამიერკავკასიის—36, კასპ-ის—2, ირკუტსკის - 5, ყაზანის—12, კალუგის—8, კამჩატკის—1 აღმ. ჩინეთის რკინის გზების—1, კიევის—22, კოსტრომის—8, ყუბანისა და ბაკი ზღვის—14, კურსკის—13, ლიფლიანდიის—4; მინსკის—16, მოგილევის—15, მოსკოვის (ქალაქი) - 10, მოსკოვის საგუბერნიო—9, ნოვგოროდის—8, ნიჟინნოვგოროდის—8, პოდოლის—19, პერმის—18, პეტროგრადის (ქალაქი) —12, პეტროგრადის (გუბერნია)—8, პოლტავის—15, ამურის -7, კასპიის სანაპიროს - 1, პსკოვის - 8, რიაზანის—10, სამარის—17, სამარყანდის—5, სარატოვის—15, სიმბირმჩინის - 6, სიმბირსკის—9, სმოლენსკის—10, სტავროპოლის—6, „სტეპნოი კრაი“—14, სირ-დარიის—9, თავრიდის -9, ტამბოვის -16, თერგის—9, დაღესტანის- 10, ტობოლსკის—10, ტომსკის—9, ტულის—8, ტურგაისა—5, უფის—13, ხარკოვის - 15, ხერსონის—18 ჩერნიგოვის—14, ესტლანდიის - 6, იაკუტსკის—2, და იარ ისლაციის - 6. სულ 730.

**საბჭოთა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 23. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ღვინობისთვის 20-ს მოწვეული იქმნეს მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა.

**პოლტავის უნივერსიტეტი.**

**პოლტავა.** ენკენისთვის 27. ქალაქის საბჭოს პოლტავაში იურიდიულ ფაკულტ-

ეტის გახსნა დაადასტურა. პროექტი მოწონებულია. ფაკულტეტის ხარკოვის უნივერსიტეტის განყოფილებას სახით იარსებებს სპეციალ სახალო უნივერსიტეტის მოწყობ-ც სასურველად სცნო.

**მაზეპას პანაშვიდი.**

**პოლტავა.** ენკენისთვის 22. დღეს აქ პირველად იხდიან მაზეპას პანაშვიდს.

## რკინის გზათა გაფიცვა

**ფეოდოსი ს გზა.**

**ᲤᲔᲝᲓᲝᲡᲘᲐ.** ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 24. ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲜᲝ რკინის გზის კომიტეტმა გაფიცვა გამოაცხადა.

**ტამბოვისა გზა.**

**ᲢᲐᲛᲑᲝᲕᲘ.** ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 24 რკინის გზის გაფიცვა დაიწყო.

**ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘᲡ ᲒᲖᲐ.**

**ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘ.** ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 24. გზებზე კონტორებში და სახელსნოებში გაფიცვა მოელამოდან დაიწყო.

**ᲡᲣᲛᲘᲡ ᲒᲖᲐ.**

**ᲡᲣᲛᲘ.** ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 24. რკინის გზის გაფიცვა დაიწყო.

**გაფიცვის გადადება.**

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ.** ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 23. პეტროგრადის და მოსკოვის საუღლო გზათა მუშებისა და ხელოსანთა დელეგატების კრებამ გაფიცვა ენკენისთვის 26-მდე გადასდო. 26 ში დროებით მთავრობის პასუხს მოელენ.

**დროებითი მთავრობის დათმობა.**

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ.** ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 25. დროებითი მთავრობის დღეგანდელს სხდომაზე გამოცხადდა საბჭოების პროფ. კავშირისა და გამფიცავ კომიტეტის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელმაც წინადადება მისცა ენკენისთვის 24 ის კანონის მიხედვით ჯამაგირები მოგვიმატეთო. მოსკოვის ცენტრალ გამფიცავ კომიტეტს გადაეცა შემდეგი ინსტრუქცია: ენკენისთვის 24 ის კანონის ძალით დანიშნული ჯამაგირების შიერ გამოწვეულ დაპრკოლებებს ადგილობრივი შემრიგებელი კომისია განიხილავს. მისი დადგენილებანი საგანგებო კომისიას გადაეცემა დამფუძნებელ კრებაზე წარსადგენად. მატერიალურ მოსამსახურეებს მიეცემათ ჯილდო იმის და მიხედვით, თუ რამდენი ხანი იქნებიან გზაში და არა გავლილ მანძილის რაოდენობის ანგარიშით. თუ ამ ცვლილების გამო მატარებლების მოძრაობა ისე ჩქარი ადარ იქნება, მაშინ ძალაში დარჩება ძველი წესი ჯამაგირის მიცემისაო.

**პირმის გზა.**

**ᲞᲘᲠᲛᲘ.** ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ 23. შესდგა გამფიცველთა კომიტეტი. გადაწყდა გაფიცვას შეუერთდნენ.

## უკანასკნელი დეპეშები.

— იურიდიული თანბარი მოხდა დროებითი მთავრობის შემადგენლობისაგან, რომელზედაც დაესწრო ფინეთის გენერალ გუბერნატორი ნეკასოვი. თათბირმა განიხილა ფინეთის სენატის პროექტი ფინეთის რესპუბლიკათ გამოცხადების შესახებ და მისი რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი. გადასწყდა მოწვეულ იქნეს შეერთებული კრება ფინეთის სენატის ნოკრიბისგან და იურიდიულ თათბირის წარმომადგენლებისგან.

—

მთავარსარდლის ბანაკში გაემგზავრა ტერეშჩენკო. აქ შესდგა კერენსკის თავმჯდომარეობით თათბირი სამხედრო საქმეების გამოსარკვევად.

—

სახალხო სოციალისტების ყრილობის პრეზიდიუმი არჩეული ირინ პეშეხონოვი, მიაკსტინი, ვოლკარაჩევსკი და სხვები.

—

სევასტოპოლში რკინის-გზის მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება ,,პასაჟირის'' მატარებლები და სასურსათო ვაგონი ნორმალურად მოქმედებენ.

—

პარიზში დაიტყვევეს დეპუტატი დიურმელი, რომელმაც თურმე 1916 წ. მაისში 30,000 შვეიცარიელი ფრანკი ფრანგულ მარკაზე გადაბურდავა.

—

მთავარ-სარდლის ბანაკში გაემგზავრენ კერენსკი, სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი, საზღვაო მინისტრი ვერდერევსკი, რომლებიც იქონიებენ თათბირს, თუ რომელი უფროსი წოდების ჯარის-კაცები უნდა იქნენ განთავისუფლებული. თუ ვინმე დადგენილების გამოკვეყნებამდი სამსახურს თავს გაანებებს, ის დეზერტირად ჩაითვლება და დაუყონებლივ ჯარში იქნება დაბრუნებული. ამასთანავე 1895 — 1896 წლების ჯარისკაცებს განთავისუფლებლად ამბობენ 1 ოქტომბრისთვის.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

### ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

**დამფუძნებელი კრებისთვის.** დამფუძნებელი კრების მომწყობი კავკასიის ცენტრალური კომიტეტი სხოვს ქუთაისის საკრებულის კომიტეტს, მეტტუბი ნოს რამდენ სამომრჩევლო უბნად არის დაყოფილი ქუთაისის გუბერნია.

**→ მოთხოვნილება.** ქალაქის სასანიტარო მუშებმა მეცოცხეებმა და მეკუბეებმა რეკვეთ 77-მა კაცმა ქალაქის თვითმართველობას მოთხოვნილება წარუდგინეს, სადაც მოითხოვენ თვიურათ დაენიშნოს 150 მანეთი და მიეცესთ აგრეთვე დამატებით 160 პროც. ჯამაგირებისა. წინაადდგ შემთხვევაში ისინი მუშობას თავს ანებებენ. თუ ქალაქის თვითმართველობამ მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილა, თვითეულს უნდა მიეცეს თვეში 390 მანეთი.

**→ სასურსათო კომიტეტის კრება.** შაბათს, 30 ენკენისთვეს ნაშუადღეღეს 4 საათზე ყოფილ გუბერნატორის სადგომში დანიშნულია გუბერნიის სასურსათო კომიტეტის კრება. კრებას დასწრება გუბერნიაში არსებულ სასურსათო კომიტეტების წარმომადგენლები, მსჯელობა ექნებათ სურსათის კითხვის მოგვარების შესახებ.

**→ თოფების დაკავება.** გუბერნიის კომისარის განკარგულებით 26 ენკენისთვეს, სვანეთის მილიციასთვის ურმით მიჰქონდათ რამდენიმე ფუთი თოფი და პატრონები. ყაფნის მასლობლათ ეს შენიშნეს ჯარის კაცებმა და მეურმეე-ურმიანათ სალდათთა საბჭოში წაიყვანეს. საქმის გამოძიებამ შემდეგ, მეურმეს ნება მიეცა თოფები დანიშნულებისაებრ წაედო.

**→ გაზეთის ქურდები.** ქუთაისში არსებულ რედაქციები პროვინციის მკითხველებისათვის ყოველ სადამოობით აგზავნის თავის გაზეთებს ბაგაჟთ ეს გაზეთები თავს იყრის რკინის გზის საბაგაჟო კონტორაში, საიდგანაც დანიშნულებისამებრ წესიერათ უნდა იგზავნებოდეს. მაგრამ როგორც ამ ბოლო დროს შეენიშნეთ, ამ გაზეთებს იპარავენ. ვიღაც ბეიძეური პირები და პროვინციის მკითხველებს ამ რიგათ საშეალებას უსპობენ თვალ-ყური ადევნოს ცხოვრების ყოველ დღიურ მაჯის ცემას. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ვისგანაც ჯერ არას.

**→ სალდათთა საბჭო** ატყობინებს ქალაქის სახალხო მილიციის უფროსს, რომ ამიერიდან მას უფლება არა აქვს მისცეს მოწმობები სხვა და სხვა პირებს ღვინის გადატან-გადმოტანის შესახებ.

**→ საზოგადოსაკრებულოს დაკავება.** 27 სექტემბრიდან ქართველთა სამხედრო კავშირმა რევოლუციური გზით დაიკავა საზოგადო საკრებულოს სადგომი.

**→ ქალაქის სასურსათო კომიტეტის.** წევრებათ ქალაქის საბჭომ აირჩია 5 ხმასანი:-კუტაძე, გეგელაშვილი, სხირტლაძე, გაფრინდაშვილი და მახვილაძე.

**→ ჯანმრთელობის კომისიაში.** დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება ქალაქის ჯანმრთელობის კომისიის სხდომა.

**→ ახალი გიმნაზია.** დუნდუას ქალის ერძმო პროგიმნაზია 20 ენკენისთვიდან გადაკეთდა ქალთა სრულ უფლებიან რვა კლასიან გიმნაზიათ.

**→ ქალაქის საბჭოს** თავმჯდომარის ამხანაგებათ არჩეულ იქმნენ ს. გეგელაშვილი და ი. პ. გოზეური

**→ შავი-ქვის მრეწველთა ყრილობა.** ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს ნებართვით ოქტომბრის შუა რიცხვებში მოხდება ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საერთო კრება. ამ კრებაზე სხვათა შორის ასარჩევია საბჭოს თავმჯდომარე. როგორც დანამდვილებით გავიგეთ შავი ქვის მრეწველთა ახალგაზდათა ჯგუფს გადაწყვეტილი თავჯდომარის ადგილზე წამოაყენოს ნიკო ნიკოლაძის ეაფეს უნიჭერესი ინჟენერის გიორგის კანდიდატურა. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, როგორც დიდი მეცოდნე საქმის მოყვარულ პარობებზე.

**→ სასურსათო კომისია.** ქალაქისაბჭომ აირჩია მოსამზადებელი ქალაქის სასურსათო კომისია, რომლის წევრებათ შეიყნ ს. დემ.: ს. ლეკვეიშვილი, ელიგულაშვილი და გიორგობიანი, ს.-რეკ.: გ. ბრეკაძე და ელუაშვილი. თითო ადგილი ეროვ.-დემოკრატებისათვისაც და ს.-ფედერალისტებისათვის თავისუფალია.

კვირას 1-ელ ოქტომბერს, სალამოს 6 საათზე, ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება **გალმა უბნის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა**

## კ რ ე ბ ა.

განსახილველია ფრიად საშური და საინტერესო კითხვები. უმორჩილესათ გთხოვთ დესწროთ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი.

**→ პარტიული კრება.** კვირას, 1 ოქტომბერს, სალამოს 6 საათზე, ქართულ გიმნაზიაში გიმართავს წყალ-გადა უბნის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება. განსახილველია ფრიად საშური და საინტერესო კითხვები. კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

**→ ეროვ.-დემოკრატ. მასწავლებელთა კრება.** დღეს, 29 სექტემბერს, სალამოს 8 საათზე, წმ. ნინოს სასწავლებელში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატ. მასწავლებელთა კრება ფრიად მნიშვნელოვან კითხვების განსახილველად.

**→ შეცდომის გასწორება.** ფერშლების კრება გაიმართება 1 ოქტომბერს. შეცდომით ჩვენს გაზეთში კრების დღეთ 27 სექტემბრი გვქონდა ნაჩვენები.

**→ თხილის გაზიდვა.** ამჟამად ქუთაისი სგებერნიიდან დიდძალი თხილი გააქვთ. თხილის ოპერაციებს უმეტეს წილათ აწარმოებენ რუსი ებრაელები. თხილი გამოაქვთ გუროიდან და საჩინოდან. ფუთი თხილის ფასი 45-მან.

**→ სანოვაგის ფასი.** გუშინ ბაზარზე ერთი ქათმი გიიყიდა 17 მან. ყველი ჩარეკი ფასობდა 5 მან. 7 მან.; ფქვილი ფუთი 15 მან.; წაბლი გირვანქა 40 კაპ. 60 კაპ.; ყურძენი ფუთი 12-17 მან.; ბოლი 14 მ.ნ. 20 მან.; ბამბაკვარი პური გირვანქა 30 კაპ.

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

— **საქ. ეროვ. დემოკრ. პარტიის** მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზედ — სასახლის ქუჩა, № 5, ქარგასლაში.

— **სრულიად საქართველოს კათოლიკოზ კირიონთან** სადარბაზოდ იყვნენ ენკენისთვის 25-ს და მიულოცეს: ქართველ კათოლიკეთა ვიზიტატორიმამა მ. ანტონაშვილი, უფან. ეზ. თამარი ბერუნ. ნსკასა, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი და სხ. მისს უწმინდესობას აუარებელი მისალოცი დეპეშები და წერილები მოსდის ყოველი კუთხიდან.

— **ათონის მონასტრის გარშემო.** სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს კირიონს ძველი ათონის წმ. მოცარქლისა და მახარობელ იოანე ღვთისმეტყველის სავანის წარმომადგენელმა მღვდელმონაზონმა სამპარონმა თხოვნით მიჰმართა, ძველს ათონს მიეკუთვნებოდეს, ვინაიდან 50 წელია დიდ ბასაპირს განიცდისო. სხვათა შორის მამა სამპრიდონი გააცხადებს მათს უწმინდესობას, რომ ათონში მრავალი საბუთებია, რაიც დაგვეპირდება საერთაშორისო ზავის კონფეფერენციაზე ჩვენი უფლებების დასაცველადაო.

— **ქართული სახელმძღვანელოებისათვის** თბილ. გუბერნიის ქართველ მასწავლებელთა კავშირმა მიიღო მიხეილ ნანეიშვილისგან სარაყამიშში შეკრებილი ფული, ქართული სახელმძღვანელოების გამოსაცემად. სია შემომწირველთა: მიხ. ნანეიშვილი 25 მან., ისიდ. ვარაზაშვილი 50 მან., ა. ბერიშვილი 15 მან., თ. ნანეიშვილი, ილ. გუგუშვილი, ჯ. მაკავარიანი, ეკიმი ტყეშელაშვილი, ნოე ბარამიძე, ალ. წერეთელი და მღვ. გალ. აბულაძე თითო თუმანი; კ. მაკავარიანი, თ. ჩიქოვანი და სიმ. მოდგებაძე ხუთ-ხუთი მან.; შ. კვინიკაძე და მ. რობაქიძე სამ-სამი მან.; ი. ხუხუნაშვილი 2 მან.; ჯარისკაცი ბარბაძე 1 მან. სულ 184 მან. კავშირის გამგეობა ულრმეს მადლობას უძღვნის როგორც შემკრებს, ისე შემომწირველთ.

## ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**საოცარი ამბები.**

დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე ჯარის კაცებმა დაიჭირეს სათნოების და, მასზე ძალა იხმარეს, შემდეგ მოჰკლეს და მდინარეში გადიყარეს.

— ოფიცრები ზოგიერთ ადგილას ამაღლებენ რადგან მათ ჯარისკაცებმა დეენა დაუწყეს.

— კიევის მახლობლათ თავი მოიყარა რამდენიმე ჯარისკაცმა და იქ მოსული სამეონლის მატარებელი დაამტვრია. რკინის გზის უფროსი ატყობინებს, რომ კიევის სადგურზე ბრბოს მიერ სამეონლის გატაცების დამტვრევამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

**გაფიცვის მოლოდინში.**

ფოსტის მინისტრს ნიკიტინს სატელეგრაფო მოახელეთა პროფფესიულ კავშირთან უთანხმობები მოუვიდა. ამჟამად ტელეგრაფის და ტელეფონის მოსახრენო შეთანხმდენ და გაფიცვით იმუქრებიან.

**სასამართლოს აპლება.**

დასავლეთის ასპარეზზე ერთ კარავში ნაფიც მსაჯულთა თანამონაწილეობით ურჩ ჯარის კაცთა საქმე ირჩეოდა. უცბად იგრიალეს გარე მყოფმა ჯარისკაცებმა შეცვლიდნენ კარავში დაატყვევეს იქ მყოფნი და სასამართლოს მტკრევას შეუდგენ. საჭიროთა გამოიწვიეს ყაზახთა რაზმი, ჯავშნიანი ავტომობილები და სხვანი. სასამართლოს სესია შესწყდა. შეამოხენი დაატესაღეს.

**ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲐ**

სტარობელის მაზრაში (ხარკოვის გუბ.) ანარქია გამეფდა. გუბერნიის კომისარს ატყობინებენ, რომ მაზრაში არავითარი წესრიგი არ არსებობს. ხალხი მთავრობის განკარგულებათ ყურადღებას არ აქცევენ. იტაცებენ მამულებს. გამოქცეული ჯარისკაცები აწარმოებენ ძარცვა-გლეჯას.

**ᲣᲠᲩᲝᲑᲐ.**

ჭ. უფის სასამართლოს პალატის პროკურორმა ჭ. ზლატოუსტის საქალაქო არჩევნები არ დაამტკიცა, რადგან იგი არ კანონიერათ იყო წარმოებული და ბევრი საჩივარიც შემოვიდა. მიუხედავათ ამისა ზლატოუსტის ქალაქის საბჭოს ხმოსნები მაინც შეიკრიბნენ, სხდომა გამართეს, ქალაქის გამგეობის წევრები ამორჩიენ და მუშაობაც დაიწყეს.

**ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲔᲚᲔᲚᲐᲠᲔᲑᲐ,**

ოდესაში ქურდნი ერთ მოქალაქეს ფული ამოაცალა. ამის გამო ხალხში მღელვარება წარმოიშვა. დაიჭირეს ქურაში შემთხვევით გამვლელი და ცემა დაუწყეს. მილიციამ ხალხს გამოჰგლიჯა შემთხვევით გამვლელი. მაშინ ხალხმა იგრიალა რომ მილიცია ქურდებს ხელს აფარებს და მილიციელს სროლა დაუწყო. მილიციელებმაც უპასუხეს. არიან მსუბუქათ დაჭრილები.

**ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲤᲣᲡᲝᲑᲐᲜᲘ.**

ტაგანროგის მაზრაში სანინელი ანარქიაა. გლეხები იყოფენ მემამულეთა ქონებას და ხოცავენ ზოგიერთ მიწის მფლობელთ.

— ტამბოვის კომისარს აუწყებენ, რომ კაზლოვის გუბერნიაში უწესობა განახლდა. ობრეენენ შეძლებელ გლეხ მოსახლეებს.

**ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲑᲝᲑᲘ.**

ოდესის გუბერნიის კომისარს სოროკის მაზრიდან აუწყებენ: მაზრაში გაჩნდნენ შეიარაღებული ბრბოები, რომლებიც იკლებენ მთელს მაზრას, ხოცავენ ხალხს და აუპატიურებენ ქალებს.

**ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ.**

მოსკოვის ფარმაციევტებმა ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცვა გამოაცხადეს.

**ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲔᲢᲕᲐ.**

პოლტავაში ჯარის კაცებმა მოითხოვეს, რომ სავაჭრო მაღაზიები დაიკეტოს, რადგან ისინი სიძვირის ბუდეთ იქცენო.

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ.

**27 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

კრებას თავჯდომარე დანიშნულ დროს, 8 საათზე, ხსნის. კრება კანონიერათ ითვლება, რადგანაც 66 ხმოსნიდან 35 ხმოსანი დაესწრო. კრებაზე მოწვეულნი არიან აგრეთვე ვაჭართა ბიურის წარმომადგენელი: ბ. მოსეშვილი და მეფქვილე მ. მოშიაშვილი.

დღის წესრიგში გასარჩევათ წამოყენებული შემდეგი კითხვები: 1) სასურსათო საქმის ქალაქის ხელში გადასვლა, 2) მოხსენება ქალაქის გამგეობისა საიპოთეკო სესხის აღების შესახებ, 3) ... ქალაქის გამგეობის „წერილ... ... ... ... ... 4) თხოვნა წყალგადა უბნის მეორე სასწავლებლის სპატარა მეთვალყურის ... ... ... ... ... 5) თხოვნა ... ... ... ... ... 6) მოწერილობა რეალური სასწავლებლის დირექტორისა, რომ ხსენებული სასწავლებლის ბედაგოგიურ საბჭოში ერთი წარმომადგენელი აერჩიათ. 7) მეცნიერებისა და მეცნიერების ქუთაისის კომიტეტში ერთი წევრის არჩევა, 8) დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ალმასრულებელი კომიტეტის მოწერილობა, რომ სასკოლო საბჭოს შემადგენლობაში სამი წევრი აერჩიოთ, 9) შეშის კრიზისი 10) საოფიციალო კომისიის დასკვნა მედიკამენტებზე ფასების მომატების შესახებ და 11) განხილვა ქალაქის გამგეობის „ნაკახისა".

თავმჯდომარის წინადადებით თვითმართველობის მდივანი კითხულობს ძველი კრებების ოქმებს. ოქმების კითხვამ 1 საათსა და 20 წუთს გასტანა.

ოქმები ერთხმათ შტკიცდება.

**ქალაქის სასურსათო საქმის თვითმართველობის ხელში გადასვლა.**

ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი დ. ი. კალანდარაშვილი.

**დ. კალანდარაშვილი:** როგორც გახსოვთ წასულ კრებაზე კითხვა იყო დასმული სასურსათო საქმის თვითმართველობის ხელში გადასვლის შესახებ. ეს კითხვა დღეისთვის გადაიდო და გამგეობის ერთ წევრს დავალეთო, რომ საქმის ვითარება გამოერკვია. მე, როგორც თქვენგან არჩეული, თბილისს გავეგზავნე სრულიად კავკასიის ქალაქთა კავშირის ყრილობაზე დასასწრებლათ. გამგეობა კი საქმის გამოერკვევას შეუდგა.

თბილისში ქალაქთა ყრილობა არ შესდგა, რადგანაც მხოლოდ 19 ქალაქის წარმომადგენელი დაესწრო. ჩვენ მაინც გავმართეთ თათბირი და გავარჩიეთ სხვა და სხვა კითხვები.

უმთავრესი ყურადღება სასურსათო კითხვას მივაქციეთ. მე მოხსენებას ვერ გავაკეთებ თათბირის შესახებ, მხოლოთ მოგახსენებთ, რა დადგენილება მიიღო თათბირმა სასურსათო საქმის შესახებ.

სასურსათო კითხვაზე მოხსენება გაკეთა თბილისის ქალაქის მოურავმა ნ. ელიავამ. მან დაახასიათა, როგორ არის სასურსათო საქმე დაყენებული რუსეთში და კერძოთ კავკასიაში და აღნიშნა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არავითარ თადარიგს და ეკონომიას ყურადღებას არ აქევდენ, ამ რიგად აიწყო საქმე და ამის მოგვარებას ხელი მიჰყავს მაშინ, როდესაც სურსათი გამოილია.

თვით რუსეთში არ მოიპოვება პური და, თუ სადმე არის, ჩვენ არ გვაძლევენ. პურს გზავნიან იმ ადგილებში საიდანაც შეუძლიათ სხვა საჭირო საქონელი შეიძინონ, როგორიც არის ბანფაკტურა და სხვა საქონელი. სხვათა შორის პურის გადმოზიდვას ხელი შეუშალა რკინის გზებზე საკმეების არეკ-დარევამ და გადმოზიდვა უფრო გაძნელდება, რადგანაც რკინის-გზის მოსამსახურეები გაფიცვას აპირებენ. თათბირმა ამ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება და ასეთი რეზოლუცია გამოიტანა: — თუმცა ვფლობენთ მხედველობაში მოსამსახურეების მდგომარეობას მაგრამ ამ კრიზისის დროს მათი გაფიცვა ლალატი იქნება საერთო საქმისა. ეს რეზოლუცია გავგზავნეთ ჩვენ, სადაც ჯერ იყო და ვთხოულობდით, რომ რკ. გზის მოსამსახურეები დროზე დაეკმაყოფილეთ, რომ ეკაფიცა არ მოეხდინა.

დღეს დღეობით ქალაქს უფლება არა აქვს სასურსათო ს ქმე თავის ხელში აიღოს. მთელ რუსეთში მხოლოდ სამი ქალაქისთვის მიუცია ნება თვითონ აწარმოონ სასურსათო საქმეები. ამ კითხვაში ყველა ქალაქი დაინტერესებულია. ამისთვის თბილისის თვითმართველობასაც მიუქცევია ყურადღება და ასეთ აზრს დასდგომია: რადგანაც ქალაქს კანონების ძალით უფლება არა აქვს ხელი მოჰკიდოს სასურსათო საქმეებს მისთვის ავარჩიოთ წარმომადგენლები, რომელნიც იმუშავენენ სასურსა-

თო კომიტეტში, როგორც სწორ უფლებიანი წევრები.

აგრეთვე დაუდგენიათ, გამოჰყონ მოსამზადებელი სასურსათო კომისია, რომელიც გაეცნობა სასურსათო საქმეებს და ნიადაგს შეამზადებს, რომ ნების დართვისას სასურსათო საქმეები ხელთ ჩაიბაროს. ამ რიგათ ქალაქი მაინც ხელს უწყობს სასურსათო კითხვების გაუჯობესობას.

**თიბილისი** გაიზიარა თბილისის თვითმართველობის აზრი და დაადგინა: ეცნობოს დროებით მთავრობას, დაჩქაროს, რომ სასურსათო საქმეები ქალაქების ხელში გადავიდეს.

**4 ოქტომბერს** ქ. მოსკოვში შესდგება ისეთივე ყრილობა, როგორც ეს ჩვენ გვქონდა თბილისში. იქ ჩვენი წარმომადგენელიც იქნება. მოსკოვის ყრილობამ უნდა შეასწოროს ქალაქის დებულებანიც.

დღეს ჩვენ ავირჩიოთ რამდენიმე კაცი, რომელთაც გავგზავნით სასურსათო კომიტეტში, აგრეთვე უნდა ავირჩიოთ სასურსათო კომისია, რომელიც საქმეებს გაეცნობა დამომავლისათვის შეამზადებს.

ჩვენ დღეს ხელში ვერ ავიღებთ სასურსათო საქმეებს, რადგანაც ჯერ ამის უფლება არა გვაქვს და კრედიტსაც არ გაგვიხსნიან.

ჩვენ უნდა წავბაძოთ თბილისის ქალაქის თვითმართველობას, რაც სწორ გზაზე დგებაყენებს.

**თავმჯდ. ა. ჯაფარიძე.** კრებას რუსულად უთარგმნის ქალაქის მოურავის მოხსენებას.

**გრ. გველესიანი:** მე ერთი შეკითხვა მინდა მოგიკეთო: როგორც სჩანს, თითბირს გადაუწყვეტია ქალაქებმა აირჩიოს წარმომადგენელი წევრები სასურსათო კომიტეტში და აირჩიოს აგრეთვე სასურსათო კომისია. იმდენი კითხვა: რაუფლება ექნებათ წევრებს; ისინი კანტროლს გასწევენ, თუ იქნებიან უბრალო წევრები?

**ქალ. მოურავი კალანდარაშვილი:** როგორც ვიცით, სასურსათო კომიტეტს აქვს თავისი წესდება და ჩვენც კომიტეტში წევრებს ამ წესდების მიხედვით ვირჩევთ. ისინი, რასაკვირველია, კანტროლს გაუწევენ. აქვთ აგრეთვე წევრების უფლებაც. სასურსათო კომისია კი საქმეს შეამზადებს. ქალაქის სასურსათო კომიტეტი უნდა შეეგვიანებოდეს და ერთად ვიმუშავებთ.

**გრ. გველესიანი:** ის ტაქტიკა, რომელიც მიუღია თბილისის თვითმართველობას და თათბირსაც მოსაწონია. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ. რადგანაც კანონის ძალით სასურსათო საქმეებს ხელში ვერ ავიღებთ, მეტი ღონისაგალი არ არის. ქალაქისთვის სასურველია სასურსათო საქმეები მის ხელში იყოს და ამის განხორციელებას უნდა შეეცადოთ. მე საჭიროთ მიმაჩნია საბჭო შეეხოს ამ კითხვას. რამდენათ ეს თვალსაჩინია.

**თავმჯ. ა. ჯაფარიძე.** ყველა ხმოსანს შეძლება აქვს შეეხოს კითხვას. დეტალურათ გამოსთქვას თავისი აზრი, იგი მოითხოვს ქალაქის მოურავის წამოყენებული დებულებანი საბჭომ მიიღოს.

(შემდეგი იქნება).

## მოქალაქეთა საყურადღებოთ.

სასურსათო კრიზისის ნიადაგზე მრავალი უმზგავსო ჭორი და ცილის-წმენდა აღმოცენდა. განსაკუთრებით აქ, ქუთაისში ვიღაც უპასუხისმგებლო პირნი სასურსათო კომიტეტების გარშემო საოცარსა და შეუწყნარებელს ვაკანალიას ქმნიან. არწმუნებენ მოქალაქეთ, თითქოს სასურსათო კომიტეტები არიან იმაში დამნაშავენ, რომ ბაზარზე საქონელი და სურსათ-სანოვაგე არ იშოვნება, თითქოს სასურსათო კომიტეტები იმაში დაინტერესებული იყონ, თითქოს სასურსათო კომიტეტებს მიზნათ დაესახოთ ხალხის დამშეება და სხვა ასეთები. ხშირათ ამას სჩადიან ფრიად შეგნებულნი პირნი, რომელნიც მას შემდეგ, რაც ხალხის წარმომადგენელებმა თავს იდვეს დიდი ვალი სურსათ-სანოვაგის მოწესრიგებისა, მოესპოთ საშუალება, რათა კეთილდღეობა ეთარგშათ მაშრალთა ზურგზედ.

აი, მოქალაქენო, ამ ადამიანთა მიზნია, სახელი გაუტეხოს სასურსათო კომიტეტებს, ხელი შეგვშალონ ჩვენ, თქვენ მიერ არჩეულს და თქვენი ნდობით აღჭურვილს ორგანოებს, რათა კვლავ დაბრუნონ ძველი მდგომარეობა და ისევაც, შეუჩერებელ სისხლის ღვრით წელში გაწყვეტილ მაშრალთ სულთამხუთავად მოეკლონონ.

მოქალაქენო! სურსათ-სანოვაგის სიმცირე და უქონლობა იმის მიზეზი კი არ არის, რომ ჩვენ საშველებას უსაბამთ. ჩარჩვეპრების სყიდვა-გაყიდვისას, არამედ მიზეზი ის არის, რომ შექმნილი მდგომარეობის წყალობით წარმოება ზოგ ადგილს შეჩერებულია, ზოგ ადგილს სულს ღაფავს.

ისიც იკითხეთ, მოქალაქენო, მხედველობაში, რომ წარმოების საუკეთესო ცენტრები მტრის ხელშია ჩავარდნილი.

მოქალაქენო! თუ ყველაფერს ზემო ნათქვამს მიიღებთ მხედველობაში, მაშინ თქვენ დარწმუნდებით, რომ სურსათ-სანოვაგის უქონლობა იმით კი არ აიხსნება, რომ ჩვენ ჩარჩ-ვეპრების თავგასულობა ავლაგმეთ—მიზეზი სერთო სახელმწიფოს მდგომარეობაში არის ჩამარხული, იმ მდგომარეობაში, რომელიც სამი წლის შეუჩერებელმა ომსბლის ღვრამ წარმოშვა.

ჩვენადის მოაწია მხამ, რომ ოგვერთი პირი არწმუნებს საზოგადოებას, რომ თუკი მას სასურსათო კომიტეტი ხელს არ შეუშლის, ის მოიტანს ქუთაისში იმდენს ფქვილს, რამდენიც მცხოვრებთათვის საკმარო იქნება. სასაცილოა, მოქალაქენო, რომ სატირელი არ იყოს, ასეთი განცხადება და იმისი ხალხში გავრცელება. ამ ვაკანატონებს ყოფნით გამეტ ულობა და აშკარა პროვაკაციას ეწევიან, მაშინ, როდესაც მათ კარგათ უნდა იცოდენ, რომ სახელმწიფოში ჭურის მონოპოლიაა გამოცხადებული, ესე იგი ბური სახელმწიფო კონებაა, და მას ანაწილებს სახელმწიფოს მართველი ორგანო, დროებითი რევოლუციური მთავრობა, ის მთავრობა, რომელიც ხალხის ნდობას ეყრდნობა. და განა თქვენ ამის შემდეგ ჩვენ დაგვშამეთ, რომ ჩვენ უშლით ხელს ჭურის მომტანლებს?

არა, მოქალაქენო, ვერც ერთი კერძო პირი ვერც ერთ გირვანქა ბურის ფქვილს ვერ მიიღებს რუსეთში; ვერ მიიღებს, რადგანაც ბურის ფქვილს საჭიროების დამიხედვით ანაწილებს უმაღლესი სასურსათო ორგანო, რომელიც საქმეს აწარმოებს ისე, როგორც ამას ხალხის, მშრომელი დემოკრატიის ინტერესები მოითხოვს.

მაშ, მოქალაქენო, თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ ვერავინ, გარდა სასურსათო კომიტეტისა, რუსეთიდან ბურის ფქვილს ვერ მიიღებს და კერძო პირები, რომელნიც შეუსაბამო და აზაზღარ ხმებს აკეთებენ სასურსათო კომიტეტების შესახებ, თქვენიდ მტრები არიან, რადგანაც ამდენი ჩაჩინით თქვენ ეგაკრგებათ ჩვენი ნდობა.

მოქალაქენო! ნუ აქცევთ ყურადღებას ხაზიზარ ჭორის გამავრცელებლებს, რომელთა ანგარიშია კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა შეიტანონ ჩვენს ცხოვრებაში და ამოვრეულ წყალში თევზი იჭირონ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ თქვენს მოქალაქეობრივ შეგნებაში და ძირშივე აღმოფხვრით ყველაფერს, რაც ჩვენს მუშაობას ხელს უშლის და ცხოვრებას აფორიაქებს უქადის.

**ქუთაისის საგუბერნო სასურსათო კომიტეტი.**

27 ენკენისთვე 1917 წ.

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲡᲝᲗᲨᲘ*).

(გაგრძელება).

როგორც პატივცემულ მკითხველს მოახსენებული აქვთ ჩემს წინა წერილებში, ქართველები გადმოსახლებისათანავე სპარსეთის ტერიტორიის სამზღვრებზე გაფანტა შაჰპაზმა სახელმწიფოს სამზღვრების დასაცავად.

ამ უკანასკნელ დროში აღებ-მიცემობის მიზნით ისფაგანელი ქართველები გადმოსახლებულან სპარსეთის სხვა და სხვა ქალაქებში. ჩვენს წინა წერილში აღნიშნული სოფლების გარდა ხშირად შეგხვდებით კიდევ ქალაქებში და სხვა და სხვა სოფლებში ქართველ სპარსელების ოჯახობას წმინდა ქართული ენით მოლაპარაკეს.

მე წარსულ წელში ყველა ქართველ ჯარის კაცს მოწიწებით ვსთხოვე, სადაც გაეცნონ ქართველ სპერსელებს კერძოდ, ანუ თვალი ოჯახობით, დაწვრილებით ეუწერათ მათი ცხოვრება და შეეტყობინებინათ. ჩემთვის სიტყვიერად და წერილით. ზოგიერთმა პატიოსნად ასარული ჩემი თხოვნა და უმბასოოც მათი სამლვთო მოვალეობა და ამ . წესით თითქმის საკმაოდ გავიგე ჩვენი მოძმე სპარსელ-ქართველების მდგომარეობა, რაც შეძლებისადაგვარად გაუჩიარე ჩვენს ძეკრფას მკითხველებს.

ამ უკანასკნელ წერილში მსურს მოვათავსო ყველა ის ცნობები, რომელიც აღძრავს ყველა ქართველის გულში იმ მშობლიური სიყვარულს ქართველ სპარსელებისადმი, რომელიც ყველა ერთა შორის განმტკიცებულია მშობლიური ერის დაცვა ნაციონალურ ნიადაგზე, მიუხედავად ტერიტორიულად მათი ხანგძლივი ერთმანეთზე მოშორებისა.

ჰამადანიდგან ორმოცი ვერსტის მანძილზე ქ. ქირმანშაჰისაკენ გადასავლელ მაღლობზე გაშენებულია 13 სოფელი, რომელთაგან შესანიშნავი „ასად-ბადი“. ეს სოფელი გადასავლელი ადგილია ამ ორ ზემო მოხსენებულს ქალაქებშეა. როცა ქართველი პოლკი ქირმანშაჰიდგან ჰამადანისაკენ წამოვიდა და ამ სოფელში დაბინავდა, ჯარისაკაცი რომან ალექსანდრეს ძე აბაზაძე და სხვები ქუჩაბები წავიდნენ საპმელის საყიდლად. ამათ შემოეცმათ ქალის ლაპარაკი წმიდა ქართული ენით: „გასწი, შე სასიკვდილე“-ო! გაიხედეს დიდის გაკვირვებით და დაინახეს მათ ახლოს მიმავალ ქალი ბატარა ბავშვით, რომელიც დედას წყევლაზე პასუხად ჯიუტი ხმით შესძახოდა: „არ მინდა, არა“.

აბაზაძე და მისი თანამგზავრნი ამ სიტყვებით ისე არ იქნებოდნენ გაკვირვებულნი, რადგანაც ფსეი წყევლა ყველას ჩვენს თავზე გაგვიგონია ბავშობაში გაჯიუტების დროს, როგორც სპარსეთში მათმა გაგონებამ, რადგანაც მათ სრულებით არ სცოდნიათ ქართველების სპარსეთში გადმოსახლების ისტორია და მათი აქ არსებობა. „შეეკრთენი, გაკვიეფრდნ მე და ჩემი ამხანაგები. მოჩენენ, ეგონა ნამეტანი სამშობლოს ნატვრით. ვიფიქრე, შეიძლება დედა მიწა ჩვენდა შეუმზადეს ლად გადატრიალდა და უეცრად სამშობლოში ვართ. მიუახლოებდით დედა კაცს და თანდათან მოგვეცნის ზემო მოხსენებული სიტყვები „გასწი, შე სასიკვდილე, გასწიე,—არ მინდა არა, არა“. გაოცებული, ცოტაოდენ გონებას მოსული მიუახლოვდი ქალს და დავეკითხე: „თქვენ ქართველი ბრძანდებით“. „დიახ, ბატონო, ქართველი ვარ, ჩვენ ძველად ქართველი ვიყავით და აქ ვცხოვრობთ“. მას დიდად არ გაკვირვებია ქართველების აქ დანახვა, რადგანაც იცოდენ საქართველოიდგან ჯარის მოსვლა. ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ მე დავეკითხე: „მაწონსა და პურს ხომ ვიჭამთ თქვენთან“, მანაც პასუხის ნაცვლად დამეკითხა: „თქვენ ქრისტიანი ხართ, თუ მაჰმადიანი?“, რომ გიგო ჩვენი ენობამა, გვითხრა: „ფამბრძანდით ოჯახში“ და ჩვენაც გავყევით. ოჯახში დაგვხვედენ მოხუცი კაცი, რაოდენიმე ახალგაზდა ვაჟი და ქალი, უკანასკნელნი პირველად პირახვეულნი შემოგვეგებენ და, რომ გიგიეს ჩვენი ვინობამა, ყველამ პირი აიბადეს და დაგვიწყეს ლაპარაკი ქართულ ენაზე. იმ ეამს თვითოოეულ ჩვენგანს ჩვენს ოჯახში გვეგონა ჩვენი თავი. ყველა ოჯახში ისე მოგვეპყრა, როგორც თავისიანებს. „მოდით, შვილო, აქა, გვითხრა ჩვენმა პირველმა ნაცნობმა ქალმა, მოხუცი კაცი გვეკრძს მოგვიგდო ტ ჩვენებურ ზრდილობიან ტ ტკბილ მომეესაიფე მოხუცი ვით დაგვიწყო ლაპარაკი თავისიანივით: „თქვენ, შვილო, გადაკეთებული და გადაგვრებული ენით ლაპარაკობთ, ჩვენ კი შენარჩენებული გვაქვს ნამდვილ ქართული მამა პაპური ენა.“ ქართულს ყსენი მართლა დედა ენაზე ლაპარაკობენ წყნარად და ფინჯად. ახალგაზდა ვაჟი და ქალი კითხვაზე გვიპასუხებდენ: „დიახ ძმაო“ ყველას ძმას გვეძახოდენ. მოხუცი იმეორებდა: „დიახ, ძმანი არიან, ჩვენი სისხლი და ხორცი არიან, წყეულმა ფრომ დაგვაშორა ერთმანეთს, მარა ღმერთი ისევ დაგვაახლოვებს“.

ჩვენ ცოტა ხანს დავრჩით და ბოლოს ფული ამოვიღეთ საჭმელის საყიდლად. ბლომად გამოგვატანეს პური, კვერცხი, ყველი და მაწონი, ფულის შეძლება იწყონეს და გვითხრეს „როცა დარჩეთ აქეთ, წაიღეთ საჭმელია“.

როდესაც ქართველი პოლკი სენეში მივიდა, ჯარის-კაცებმა დაიწყეს სიარული რამე რუმეს საყიდლათ; პეტრე სანაველაძე (წყალტუბოდან) მიადგა ერთ დუქანს პაპიროსის ყიდვაზე. ამ მუნჯურად მოსთხოვა მედუქნეს პაპიროსი, კარგ რომ ვერ გიგო მედუქნემ, პეტრემ ქართულად უთხრა და თან რუსულიც გაუთია, მედუქნე მიხვდა, რომ მის ენაზე მისი ძველი მოძმე ქართველია და წმინდა ქართულ ენაზე დაუწყო ლაპარაკი. „მე ვარ ვეკარად მანაკაძე, გადმოსახლებული ძველ დროში სპარსეთში ერთად მრავალ სხვა ქართველებთან, მისცა“ პეტრეს პაპიროსი და უთხრა: „როცა პოზიციაზე წახვიდე, გამომიბარეო“, გამოვლის დროს მაჩუქა ერთი რუსული საცვალი, შვიდი ბანეთი სპარსული ფული. როცა ჩვენ ვსთქვით: „დროს რა უნდა უთხრათ, რომ ჩვენ ქართველები ასე დაგვესაკსა“, -მაშინ მედუქნე სპარსელ ქართველმა მიპასუხა: „რა გიყვარა, შვილო,, ოღონდ პატიოსანი იყავი ადამიანი და სჯული სულ ერთია, ღმერთი თქვენაც გწამთ და ჩვენაც მადლობა ღმერთს, ამდენი ხნის ჯოჯოხეთური ცხოვრებაში ჩვენ ან დავგიწყებია სამშობლო ენა და ზნე ჩვეულება“.

ერთხელ ქართველი ჯარის-კაცი ცხენს აიწყალებდა მეინარეზე პატარა სოფლის მახლობლად თეირანისაკენ. ცხენმა გაჯავრა საოდათ და დაიწყო წყევლა ჩვეულებრივი პირუტყვისათვის ჩვენში არსებული საწყევარი სიტყვებით: „გიჭირდი, შე ტიალო, შე მუდრეკო“. აქ იდგა ერთი სპარსელად ნაცმული კაცი, რომელსაც ამ სიტყვების გაგონებისას გაეცინა, მოაუხლოვდა ჯარის-კაცებს ჯგუფს, რომელიც სულ ქართველიდან შედგებოდა, დაიწყო ქართულად ლაპარაკი: რასთვის წყევლი“... ჯარის-კაცებს გაუკვირდათ უცხო კაცის მათ სამშობლო ენაზე გამოლაპარაკება, ისინი გაიტაცა ცნობის-მოყვარეობამ, გამოკითხეს ვინაობა, ოჯახური გარემოება. მანაც გიგო ამათი ვინაობა და დაპატიჟა ოჯახში ყველანი. ოჯახში ახალი გაცნობილი მოძმე ოჯახის შვილურად დაუხვდა, ქალი და კაცი დიდი ხნის ენახავ სისხლით ნათესავსავით. მიეგებენ სტუმრებს და ყველას მათგანს ეტუოზოდა ღვრთოვანებული სახალისე; პატივისცემისათვის სტუმრებმა ვერაფერის შეძლეცა გაუბედეს, მარა, როცა ერთმა მათგანმა დიდის ბოდიშით გაუპირა სასყიდლის მიცემა, ყველანი შეუუტდნენ დიდ აუგად მიიღეს ჩვენგანის განზრახვა. „ჩვენ ქართველები ვართ, თქვენი მომძმენი ხედავთ, ქალ და კაცს როგორ გვიხარია თქვენი ნახვა. აქ ყველანი ასე ეთხარებენ თქვენი ნახვით, ჩვენ აქ ვართ შვიდი სოფელი, არავითარ სპარსულ კანონს არ ვემორჩილებით. ჩვენთან მოსვლისა თქვენ ნუ გეშინიათ, მოდით ისე, როგორც ჩვენს პირველ მამა პაპას გადმოუცია საქართველოდან წამოყოლილი წესები, ზნე-ჩვეულება, კანონები და სხვა. რჯულის შეშლას არა უშავს, რადგანაც ომავე ღმერთს ვემსახურებით ყველანი. გვითხრა მასპინძელმა და გულდაწყვეტილი დაგვეშვიდობა მთელი ოჯახობით.

ამ მდგომარე წელში ზემო-მოხსენებული ას-აბადის გადასავლეზე თებერვალის თვეში მოწნიანე ხაჩი გვეჭირა საყარაულოზე, ერთად მოვიყარეთ თავი რაოდენიმე ჯარის-კაცმა და წავედით სანადიროთ, მოგვალთ გარეგანნ ღორი. ამ დროს ჩვენთან მოვიდა სპარსელი. ჩვენ დაცინვით უთხარით: „დონღრეს ერსანღორსა სპამ?“ შეგვატყო, რომ ქართველები ეიყავით და გვიპასუხა: რატომ რატომ არ ესვამ? მეც ქართველი არა ვარ?!? ჩვენაც მივეხალისეთ მის სიტყვებს, გამოგვიკითხეთ ვინაობა, ოჯახობის მდგომარეობა და სხვა. ბოლოს ჩვენმა ბიჭმა ბიჭეფაცა: „ჩვენი ძველი შაჰპაზაა დასახლებული თათრების და სპარსელების სამზღვარზე ქურთების მახლობლად. რადგანაც ესენი ჩვენ ძლიერ გვეშინოდენ, აქ გადმოვსახლებულ 20 ქართველ ოჯახ-ბიჭებს ნებაზეა მიცემული. ... ... ...